

ოპერა „აბესალომი და ეთერი“ -
სარკმელი ევროპისკენ!

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა!
დღესასწაული კულტურული
გამარჯვებისა!

სარკმელი ევროპისკენ!

დ. არაყიშვილი

მე კომპოზიტორი არ ვარ. კომპოზიტორი
ქართველი ერია, რომელმაც შექმნა
უნიკალური მარგალიტები. მე ისინი
ევროპულ ენაზე გავამუსიკე.

ზ.ფალიაშვილი

*ეროვნული იდენტობისა და ევროპული
მუსიკალური აზროვნების საკითხები
ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში*

სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის

ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის X^ა კლასი

მასწავლებელი ფიქრია სულაბერიძე

ეროვნული იდენტობა არის ყველაზე ძლიერი საშუალება, ინდივიდმა განსაზღვროს და იპოვოს თავისი ადგილი სამყაროში ეს არის გაზიარებული, უნიკალური კულტურა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ ,,ვინ ვართ ჩვენ"თანამედროვე სამყაროში. ეროვნული იდენტობის გრძნობას ჩვეულებრივ ის ღირებულებები აღვივებს, რომელთაც საზოგადოების წარმოდგენაში ეროვნული სიმბოლური კულტურის მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ერთ-ერთ ასეთ ღირებულებას ჩვენში ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერა-გალობა აღიქმება. ამას მოწმობს **მერაბ მამარდაშვილის** სიტყვებიც: ,,მე ქართველი ვარ, რადგან როგორც სულიერად ისე მორალურად მე ქართული მრავალხმიანი სტრუქტურის პროქტი ვარ". ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ტრადიციული მუსიკალური კულტურისადმი ბუნებრივია.

ეროვნული ოპერის ფუძემდებლის, დიდი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების შესაფასებლად **დიმიტრი არაყიშვილი,** ბრძანებს:,,საუკუნეების სიღრმიდან ჩვენ გადმოვედით ჰორიზონტზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქიდან უკვე აღარ ჩავალთ" ასე გამოხატა მან ახალი ეპოქის დასაწყისი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური ენის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ყველა გამომსახველი ხერხი ერთ მთლიანობას განაზოგადებს. მელოდიასთან ერთად ჰარმონიულ ვერტიკალს, პოლიფონიურ ფაქტურას ჟანრული საწყის ფორმას, მეტრო-რიტმს, ორკესტრობას თითოეულ მათგანს თანაბარი ფუნქცია აკისრია. მაგალითად ოპერაში **„აბესალომ და ეთერი"** პირველი მოქმედება, საქორწინო სცენიდან სიმღერა „ჩაკრულო'' წარმოადგენს ერთერთ ბრწყინვალე ქმნილებას თავისი დიდებულებითა და კლასიკასამდე მიყვანილი სრულყოფილებით. ფრესკულობა, მონუმენტარული სიდიდე მიღწეულია გამომსახველი ხერხთა მთლიანობით. მეორე მოქმედებას შეიზლება ვუწოდოთ მთლიანად ჩაკრულო. ძველი სუფრული სიმღერის სიდეადე მის პროზაულობასა და ეპიკურობაშია.

მუსიკა განსაკუთებით ახლოს არის პოეზიასთან, ხელოვნებასთნ, რომელსაც შეუძლია ადამიანის სულის სიღრმეში შეღწევა. მათ აქვთ საერთო ის, რომ ისინი თავად ქმნიან დროს, ითვლიან მას საკუთარი რიტმის დახმარებით. განსხვავება ისაა, რომ პოეზიაში ფორმის მასალა სიტყვაა, მუსიკაში კი ჟღერადობა, ბგერა.

სწორედ ეს გამოიყენა ზ.ფალიაშვილმა თვის შემოქმედებაში, ერთ-ერთი ყველაზე უნიკალურ ოპერაში ,,აბესალომ და ეთერი" რომელიც ქართული ეროვნული კულტურის მწვერვალია. ხალხში იგი ,,ეთერიანის" სახელითაა ცნობილი. ამრიგად, სწორედ ხელოვნებასთან ინტეგრაციით ნათელი ხდება საოპერო დრამატურგიის ფრესკილობა, მონუმენტალიზმი და რა თქმა უნდა საოპერო ნომრების პალიმფრესკული გააზრებ.ა